ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**გ-97. 97261697**

თარიღი:**18/06/2026**

ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანებისთვის ს/კ 434066020 ლენტეხის გურამ გუგავას სახელობის საჭიდაო დარბაზის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით სარგებლობაში გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ,,4“ ივნისის N96-962615518 მომართვის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს დ. ლენტეხში ახალგაზრდობის ქ. N-4 მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 87.04.22.152 საერთო ფართი - 3233.00 კვ.მ მასზე დამაგრებული ლენტეხის გურამ გუგავას სახელობის საჭიდაო დარბაზის შენობის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემა ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანებისთვის ს/კ 434066020 არსებობის ვადით.

საფუძველი: ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანების დირექტორის ზაქრო ხვისტანის 2026 წლის 27-მაისის N-33 მოხსენებითი ბარათი.

მუხლი2. განკარგულება აღსასრულებლად გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მერიას.

მუხლი3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4 . განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი